ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

1-639

ბრძანება №_____

„11" _____ დეკემბერი 2019 წ.

ქალაქ თბილისში, 2019 წლის 17-23 დეკემბერს „თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ" და „პ" ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 9 დეკემბრის № 21-01193431209 წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს: ქალაქ თბილისში, 2019 წლის 17-23 დეკემბერს „თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი უცხოური ტურისტული კომპანიების, ჟურნალისტების, საერთაშორისო ტურისტული ასოციაციების, ბლოგერების, ღონისძიებების ორგანიზატორებისა და პრომოუტერების გაცნობითი/საინფორმაციო ტურის ფარგლებში მოწვეული სტუმრების ავიაბილეთის შეძენა, დარბაზის იჯარა, სასტუმროში განთავსება, კვებით გამასპინძლება და ტრანსპორტით მომსახურება, 240800 (ორას ორმოცი ათას რვაასი) ლარის ფარგლებში.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს: ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯის ანაზღაურება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროგრამით „თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა" (კოდი: 04 08) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიების გატარება.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქ. თბილისი 0160, ფ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200